



მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ რ გ უ ლ ე ბ ა №200

2016 წელი 27 ოქტომბერი

ქ. მცხეთა

„მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“
მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №6 განკარგულებაში
ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 28-ე მუხლის, 43-ე მუხლის პირველი ნაწილის „ზ“ ქვეპუნქტის, 43-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილების, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ნოემბრის №50 დადგენილებით დამტკიცებული „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის“ მე-13 მუხლის მე-4 პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის, 23-ე მუხლის მე-7 პუნქტის, საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 63-ე მუხლისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარის მოხსენებითი ბარათის (№37/05; 20.10.2016წ) საფუძველზე,

1. შეტანილ იქნას ცვლილება „მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების შემადგენლობის დამტკიცების შესახებ“ მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 აგვისტოს №6 განკარგულებაში, კერძოდ,
 - 1.1 მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის შემადგენლობიდან გამოყვანილ იქნას საკრებულოს წევრი იოსებ კავსაძე.
2. განკარგულება ძალაშია გაცნობისთანავე.
3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში. მცხეთა, სამხედროს ქ №17.

საკრებულოს თავმჯდომარე



ჯემალ სოლოდაშვილი